ანალიტიკური წერა

III ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ერთ-ერთი ძველი უბანი წლების განმავლობაში იზიდავდა ქალაქის მცხოვრებლებს. მომცრო მოედნის გარშემო განლაგებული იყო ძველებური ორსართულიანი სახლები, რომელთა პირველ სართულებზე პატარა კაფეები იყო გახსნილი. იქ სტუმრებს ადგილობრივი კერძებით უმასპინძლდებოდნენ. ერთ-ერთ შენობაში მარიონეტების თეატრი იყო განთავსებული, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ბავშვები.

ქალაქის მერიამ ძველი უბნის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა გადაწყვიტა. ამ მიზნით პატარა კაფეები რესტორნებით ჩაანაცვლეს, ხოლო მარიონეტების თეატრი გააუქმეს და მის ნაცვლად სუვენირების დიდი მაღაზია გახსნეს.

ერთი თვის შემდეგ, მიუხედავად ქალაქის მერიის მოლოდინისა, რომ განახლებული უბანი მეტი პოპულარობით ისარგებლებდა, მოხდა პირიქით, უბანში სტუმართა რაოდენობამ იკლო.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ქალაქის მერიის მიერ ჩატარებული ღონისძიებების წარუმატებლობის მიზეზები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

როგორ აისახება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში საზოგადოებასა და თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე?

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.